# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №73

201/ წ. „28“ 06

ქ. თბილისი

### შპს - „ფარნავაზის“ ავტორიზაციის შესახებ

შპს - „ფარნავაზის“ მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივნისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - „ფარნავაზს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 246952427) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 318-ით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივნისის №10 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კახი ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარე

გაიანე სიმონია

საბჭოს მდივანი